საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მარბმნის ბიურო
REGISTRATION № 10058-14
30.09.11
CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TREATIES BUREAU
of the Ministry of Finance of Georgia

ცვლილება ნომერი ერთი

ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-002

2011 წლის 21 სექტემბერი

ცვლილება ნომერი ერთი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის საქართველოსა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება").

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა 2010 წლის 12 აგვისტოს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება საქართველოში ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ 1-ში ("განერცობილი აღწერა") და

ვინდაიან, USAID-სა და გრანტის მიმღებს სურთ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილება იმისათვის, რომ (ა) მთლიანი თანხა გაიზარდოს $14,781,000-ით $77,069,599-დან $91,850,599-მდე; (ბ) USAID-ის მთლიანი დახმარება გაიზარდოს $10,723,243-ით $83,069,599-დან $93,792,842-მდე, რათა გამოყოფილ იქნას დამატებითი დამხარება ეკონომიკური ზრდასთან დაკავშირებული საქმიანობებისთვის; გ)შეიცვალოს მუხლი 2 : "პროგრამის მიზნები, პროგრამის მოქმედების სფეროები, პროგრამის კომპონენტები", რათა აისახოს დამატებითი მოქმედების სფეროები და კომპონენტები ხელშეკრულების ფარგლებში; დ) განახლდეს ხელშეკრულების დანართი 1-ის ცხრილი 1 "USAID-ის ფინანსური გეგმა", ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით; ე) შეიცვალოს ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ის ("განერცობილი აღწერა") მე-6 (ა) ნაწილში ("ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა") სადაც აისახება USAID-ის მთლიანი დახმარების თანხა $93,792,842.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. ხელშეკრულების 3.1 (ა) პუნქტი, - "გრანტი", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

   "(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შერულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დამხარების შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ოცხმოცდათერთმეტი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასს ხუთას ოთხმოცდაცხრამეტ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს ($91,850,599) (შემდგომში, "გრანტი")".

2. ხელშეკრულების 3.1 (ბ) პუნქტის ("USAID-ის მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა") პირველი წინადადება, – წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

   "(ბ) USAID-ის მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა. ამოცანის შესასრულებლად USAID-ის სააგენტოს მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა შეადგენს ოთხმოცდაცამეტი მილიონ, შვიდას ოთხმოცდათორმეტი ათას, რვაას ორმოცდაორ აშშ დოლარს ($93,792,842), რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით.

3. ხელშეკრულების 2.1 პუნქტი, –"ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები" წაიშლება მთლიანად და შეიცვლდება შემდეგით:

   "პუნქტი 2.1. ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური დახმარების სტრატეგიულ სრუქტურულ საფუძვლებში ჩამოყალიბებული უცხოური დახმარების ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების („ფუნქციონალური ამოცანები") ამოცანის შესრულების შემდგომი ხელშეწყობის მიზნით ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ სფეროებში განსახორციელებულ საქმიანობებზე: ეკონომიკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სტრატეგიულ სექტორებში, მაკროეკონომიკური ზრდის კვლევა, სავაჭრო და საინვესტიციო, ფინანსური სექტორი, სასოფლო-სამეურნეო, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი, ეკონომიკური შესაძლებლობი და დაცვა,

დახმარება და პრობლემების გადაჭრის გზები (ერთობლივად, „პროგრამის მოქმედების სფეროები", ხოლო ფუნქციონალურ ამოცანასთან ერთად, („ამოცანა").

4. დანართი 1. ცხრილი სახელწოდებით "USAID-ის ფინანსური გეგმა: ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2013 ფინანსური წლებისათვის" წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

	ჯამური თავდაპირველი ვალდებულება	ცვლილება ერთის ვალდებულება	მთლიანი ვალდებულების თანხა	მომავალში მოსალოდნელი ვალდებულებები	ჯამური მიახლოებული თანხა
ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	$16,415,564	$4,057,757	$20,473,321	$1,942,243	$22,415,564
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	$20,206,435		$20,206,435		$20,206,435
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	$34,668,597		$34,668,597		$34,668,597
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების ზედამხედველობა	$4,777,396		$4,777,396		$4,777,396
ეკონომიკური ზრდა		$10,723,243	$10,723,243		$10,723,243
პროგრამის მხარდაჭერა	$1,001,607		$1,001,607		$1,001,607
ჯამური თანხა:	$77,069,599	$14,781,000	$91,850,599	$1,942,243	$93,792,842

შენიშვნა: განახლებული ფინანსური გეგმა ითვალისწინებს "მუნიციპალური ინფრასტრუქტურის" კომპონენტის შემცირებას $445,993-ით. აღნიშნული თანხა გადატანილია "საინჟინრო და პროგრამის საზედამხედველო" კომპონენტში, რაც გამოწვეულია საზედამხედველო კონტრაქტის ფასის ზრდით. ყოველგვარი დავის თავიდან აცილების მიზნით, ზემოაღნიშნული შემცირება არ იქონიებს გავლენას USAID-სა და მუნიციპალური განვითარების ფონდს (MDF) შორის გაფორმებულ ქვე-გრანტის №114-11-IL-003 განხორციელების წერილით გათვალისწინებულ $17,730,500 USAID-ს ქვე-ვალდებულებაზე MDF-ის მიმართ.

5. დანართი 1-ის VI (ა) ნაწილში მოცემული თანხა "$83,069,599" წაიშალოს და შეიცვალოს "$93,792,842";

6. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა ტერმინები და პირობები უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ ერთს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

საქართველო:	ამერიკის შეერთებული შტატები
---	---
სახელი, გვარი: დიმიტრი გვინდაძე	სახელი, გვარი: Jonathan M. Conly
თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი	თანამდებობა: Mission Director USAID/Caucasus

ცვლილება ნომერი ერთი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.